

## კიტი მაჩაბელი

### დამკვეთთა რეპრეზენტაცია ადრექტისტიანულ ქვაჯვარათა რელიეფურ დეკორში

ადრეული შუა საუკუნეების ქართული საერო პორტრეტი თავისი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამ თემამ უკვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება, მაგრამ კვლავ რჩება გარკვეული საკითხები, რომელთა განხილვა შეავსებს ჩვენ ცოდნას ადრეული შუა საუკუნეების ქართული საერო პორტრეტის შესახებ.<sup>1</sup> შუა საუკუნეებში, ისევე, როგორც წინაქრისტიანულ ხანაში, პორტრეტმა შეინარჩუნა თავისი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა. მკაცრ იერარქიაზე დაფუძნებული ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურა რელიგიურ ხელოვნებაში აისახა. ადრექტისტანული ხანის საქართველოში, რომისა და ბიზანტიის მსგავსად, ხელოვნებაში იმდროინდელი საზოგადოების კომპლექსურობა და სოციალური ურთერთმიმართებები იჩენს თავს.

საქართველოში ტაძრების ფასადებზე მმართველთა რელიეფური პორტრეტები წმინდა სახეებთან ერთად VI-VII საუკუნეებში ჩნდება. ეს პროცესი ერთგვარად ეხმიანება ადრებიზანტიურ ხელოვნებაში არსებულ ვითარებას. ამ დროისათვის ბიზანტიაში ტაძრების კედლებზე მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა და წმინდანთა წინაშე იმპერატორისა და დიდებულთა პორტრეტების გაჩენა ხელისუფლების „ღვთით რჩეულობას“ ადასტურებდა. ეს მოვლენა ბიზანტიაში ძალაუფლების ღვთაებრივი მფარველობის იდეის გაძლიერებას უკავშირდებოდა და პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ახალ სისტემას მოასწავებდა.<sup>2</sup> საკრალურ სივრცეში საერო პორტრეტის განთავსებას რელიგიური და სოციალური საფუძველი ჰქონდა.

ადრეული შუა საუკუნეების ქართველ წარჩინებულთა რელიეფური პორტრეტები ტაძრებთან ერთად საულტო ძეგლებმა — ქვაჯვარებმა შემო-

<sup>1</sup> მაჩაბელი, საერო პორტრეტი, გვ. 98-112; მისივე, ადრეული შუა საუკუნეების, გვ. 120-141; მისივე, პორტრეტი ადრეული, გვ. 131-161; მისივე, *Certain aspects* გვ. 35-44.

<sup>2</sup> Grabar, *L'Empereur*, გვ. 163-180; Meyendorff, *The Byzantine Legacy*, გვ. 43-66; Курбатов, *Ранне-византийские портреты*, გვ. 230-251.

გვინახა. ტაძრების ფასადებზე ქვეყნის მმართველთა — ერისმთავართა პორტრეტები გამოისახებოდა. ქვეყნის ფეოდალური წრეების წარმომადგენლები თავისი სოციალური ლირსების დასტურად, ქრისტიანული რწმენისადმი ერთგულების ნიშნად და ზეციური მფარველობის მოსაპოვებლად ქვაჯვარებს აღმართავდნენ. ადრეულ შუა საუკუნეებში ქვაჯვარები — რწმენის თავისებური ნიშანსვეტები — აქტიურად იყო ჩართული ხალხის რელიგიურ ცხოვრებაში.

ქვაჯვარათა რელიეფური დეკორის იკონოგრაფიული პროგრამა მოიცავდა ჯვრის თემას, ქრისტეს ამაღლებისა და დიდების სიუჟეტებს, ღმრთის-მშობლის განდიდების თემას, მთავარანგელოზებისა და წმინდანების რელიეფურ „ხატებს“, ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს, რომლებიც ზუსტად განსაზღვრული პრინციპით ნაწილდებოდა ქვაჯვარათა ზედაპირზე და მორწმუნეთათვის ვიზუალურ „ტექსტს“ ქმნიდა.<sup>1</sup> ქვაჯვარა, მთელი თავისი ხატოვანი სისტემით, კარგად გააზრებულ მხატვრულ მთლიანობას წარმოადგენდა, რომელსაც მკაფიო თეოლოგიური პროგრამა ედო საფუძვლად. მისი დანიშნულება, როგორც ვოტივური და სალოცავი ძეგლისა, რელიეფური დეკორის მკაფიოებასა და მისაწვდომობას გულისხმობდა. სწორედ ამ მწყობრ, კარგად გააზრებულ თეოლოგიურ ქარგაში ჩაერთო ამ საკულტო ძეგლების დამკვეთთა, ადრეული შუა საუკუნეების ქართველ დიდებულთა პორტრეტები.

ქვაჯვარათა უმეტესობამ ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღნია. რამდენიმე ათეული საერო პორტრეტი ცალკეული ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი. პორტრეტების ნაწილს თან ახლავს ასომთავრული წარწერები, რაც ზრდის მათ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას. წარწერებში გამოსახულის სახელთან ზოგჯერ მისი ტიტულებიც არის მოხსენიებული („მამფალი არშუშა პატრიკიოსი“ — ჯვრის ბაზა, აბასთუმანი, VII-VIII სს. მიჯნა, „მამასახლისი გრიგოლ“ — წრომის ქვასვეტის ფრაგმენტი, VI-VII სს., „გრიგოლ ვიპატოსი“ — კატაულას ქვაჯვარა, VII ს.).<sup>2</sup> წარწერები, რომლებშიც ამ ეპოქის ადგილობრივი ქართული და ბიზანტიური ტიტულები არის მოხსენიებული, ადასტურებს, რომ ქვაჯვარათა აღმართვა ქვეყნის ფეოდალური ელიტის პრივილეგია იყო. ეს წარწერები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვანი საისტორიო საბუთებია, რომლებშიც უცნობი ისტორიული პიროვნებების არა მხოლოდ სახელები, არამედ ტიტულებიც არის მოხსენიებული.

ქვაჯვარები წარმოადგენდა საკრალურ სივრცეს, რომელშიც მომგებელთა პორტრეტების განლაგებას უნდა აესახა მათი პოზიცია ფეოდალურ იერარქიაში. შემკვეთთა გამოსახულებების განთავსების ადგილი და ფორ-

<sup>1</sup> Мачабели, Каменные кресты, гл. 220-249.

<sup>2</sup> შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, гл. 103, 131-132, 120.

მა ქვაჯვარებზე საკმაოდ განსხვავებულია. მე შევეცდები აღვადგინო საერო პორტრეტის ადგილი ქვაჯვარათა რელიეფური დეკორის სისტემაში, გვარკვიო, რა პრინციპით იყო ჩართული ქართველ დიდებულთა სახეები მათ მიერ აღმართულ ქვაჯვარათა მწყობრ რელიეფურ პროგრამებში, როგორ იქმნებოდა რელიგიური და საერო თემების ერთიანობა.

ვიდრე ქვაჯვარების დამკეთთა პორტრეტებს შევეხებოდე, უნდა განისაზღვროს თავად ქვაჯვარების განთავსების საკითხი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რელიეფური დეკორის პრინციპების ჩამოყალიბებაში, რადგან ოთხნახნაგა სვეტებზე რელიეფურ გამოსახულებათა განაწილება ითვალისწინებდა ამ საკულტო ძეგლების სივრცეში არსებობას. ღია ცის ქვეშ აღმართული ქვაჯვარები ზუსტად იყო ორიენტირებული ქვეყნის მხარეებთან — მთავარი იყო დასავლეთი მხარე, რადგან აღმოსავლეთისკენ ლოცვით მიმართულ მორწმუნეთა თვალწინ ქვაჯვარას დასავლეთი წახნაგი იშლებოდა, რომელზეც თეოლოგიური პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი თემები და მთავარი წმინდა პერსონაჟები გამოისახებოდა. ეს ვითარება საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ სვეტის წახნაგთა „იერარქიაში“.

ქვაჯვარათა ნაწილი ეკლესიებთანაც აღიმართებოდა. სამწუხაროდ, ეკლესიასთან არსებული ქვაჯვარებიდან მხოლოდ რამდენიმე შემორჩა თავდაპირველ ადგილას: კუმურდოს ტაძართან აღმართული ქვაჯვარა,<sup>1</sup> ქვაჯვარას ნაწილი ძველი მუსხის ეკლესიასთან<sup>2</sup> და ქვაჯვარას მონუმენტური ბაზა რატევანის ეკლესიასთან.<sup>3</sup> ტაძრებთან არსებულ ამ საკულტო ძეგლთა მდებარეობა წმინდა მიწასთან დაკავშირებულ ერთ მეტად მნიშვნელოვან რელიგიურ პრაქტიკაზე მიგვანიშნებს. საქმე ეხება ეკლესიასთან ქვაჯვარათა მიმართებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ წერილობით წყაროებში ვერავითარ მინიშნებას ვერ მივაკვლიე. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰვინოს ქვაჯვარების აღმართვის ამ მნიშვნელოვან ასპექტს. ზემოაღნიშნულ ქვაჯვარათა და მათი ფრაგმენტების მდებარეობის გათვალისწინება გარკვეულ კანონზომიერებაზე მიანიშნებს. ეკლესიების მახლობლად მდებარე ქვაჯვარანი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილთან არიან აღმართულნი. კატეგორიულ დასკვნებს კიდევ დამატებითი მასალა სჭირდება, მაგრამ ახლაც შეიძლება ვარაუდის გამოთქმა და ქართულ ქვაჯვარათა აღმართვის პრაქტიკის დაკავშირება იერუსალიმის წმინდა მიწაზე არსებულ ძველ ქრისტიანულ ტრადიციასთან.

<sup>1</sup> Северов, Чубинашвили, *Кумурдо и Никорциминда*, ნახ. 1, ილ. ფურც. XVI.

<sup>2</sup> მაჩაბელი, ძველი მუსხის, გვ. 45-59.

<sup>3</sup> მაჩაბელი, ბოლნისის რაიონის, გვ. 4.

IV საუკუნეში იერუსალიმის სიწმინდეების მომლოცველთა აღწერებში ნახსენებია, რომ ანასტასიის როტონდასთან, ლია ცის ქვეშ „წმიდა ჯვარი“ იყო აღმართული, მასთან სრულდებოდა ლვთისმსახურება, აღვლინებოდა ლოცვები, ითქმოდა საგალობლები, ისმოდა ქადაგებები. პილიგრიმები მოგვითხობენ, თუ როგორ სცემდნენ თაყვანს ძელს ცხოვრებისას გარკვეული საეკლესიო დღესასწაულების დროს, რა სახის რიტუალები სრულდებოდა ანასტასიის ეკლესიასთან და გოლგოთის ჯვართან.<sup>1</sup> ქართულ ქვაჯვარათა უმეტესობა ლია ცის ქვეშ აღმართული ვოტივურ-მემორიული ძეგლებია, მაგრამ როგორც ჩანს, იმ შემთხვევებში, როდესაც მათ ეკლესიებთან აღმართავდნენ, მათი მდებარეობა ეკლესიის მიმართ ითვალისწინებდა წმინდა მიწაზე ადრე არსებულ, ლიტურგით განპირობებულ უძველეს ქრისტიანულ ტრადიციას. ამ კავშირს ადასტურებს ისეთი წერილობითი ძეგლი, როგორიც არის VII საუკუნის „იერუსალიმის განჩინება“, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში, იერუსალიმისა და სინის ეკლესიების გარდა, ქართული ეკლესიის ლვთისმსახურებასაც არეგულირებდა.<sup>2</sup>

პორტრეტის განთავსების დროს ყურადღება ექცეოდა როგორც ქვაჯვარას ნაწილს, ასევე სვეტის მხარეს და რელიგიურ თემებთან და წმინდა პერსონაჟებთან საერო პორტრეტების მიმართებას. დასავლეთ წახნაგის შემდეგ მნიშვნელოვანი იყო ქვაჯვარას ჩრდილოეთი მხარე, რომელიც ეკლესიისკენ იყო მიმართული. რაც შეეხება ქვაჯვარას აღმოსავლეთ მხარეს, უმეტეს შემთხვევაში იგი ორნამენტებით იმკობოდა. ამის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს დამკვეთის სოციალური სტატუსი. დამკვეთთა პორტრეტების პოზიცია ქვაჯვარაზე მომლოცველთათვის თავისებური მინიშნება იყო პიროვნების ადგილზე ფეოდალურ საზოგადოებაში.

ქვაჯვარათა რელიეფურ დეკორში საერო პორტრეტის პოზიციების გასარკვევად ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ ოთხი შედარებით კარგად შემონახული ქვაჯვარა, რომლებშიც საერო პორტრეტებს გარკვეული ადგილები აქვს მიჩნილი. ესენია VI საუკუნის დასასრულის ბრდაძორისა და ნაზღაურას ქვაჯვარები, კატაულას ქვაჯვარას სვეტი (VII ს.) და უსანეთის ქვასვეტი (VIII-IX სს.). ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვაში დავათის ქვაჯვარას ფრაგმენტიც (VI ს.) გვეხმარება. ამას გარდა გვაქვს რამდენიმე ქვაჯვარას კაპიტელი საერო პირთა გამოსახულებით. აღნიშნულ ქვაჯვარებზე დამკვეთთა გამოსახულებები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. შესაძლოა, ამგვარი ვითარების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ქრისტიანული ხელოვნების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი დამკვეთთა გამოსახვის ზუსტი წესები.

<sup>1</sup> К источнику воды, гл. 195-197; Кондаков, Археологическое путешествие, гл. 156-157.

<sup>2</sup> Кекелидзе, Иерусалимский канонарь, гл. 13, 33.

VI საუკუნის დასასრულის ქვაჯვარებზე საერო პორტრეტის განთავსების პრინციპების განხილვას დავიწყებ ბრდაძორის ქვაჯვარადან, რომელზეც რამდენიმე პორტრეტი არის გამოსახული.<sup>1</sup> ბრდაძორის ქვაჯვარას რელიეფური დეკორის იკონოგრაფიულმა პროგრამამ ჩვენამდე საკმაოდ კარგ მდგომარეობაში მოაღწია, თუ არ ჩავთვლით რელიეფების ზედაპირის დაზიანებას. ამიტომ მის საფუძველზე შეიძლება გავარკვით, როგორ არის ჩართული დამკვეთის პორტრეტები ქვაჯვარას რელიეფურ პროგრამაში.

ბრდაძორის ქვაჯვარაზე დამკვეთთა გამოსახულებები სამ კომპოზიციაში არის წარმოდგენილი: მამაკაცის ერთი პორტრეტი მოთავსებულია ქვაჯვარას მთავარი, დასავლეთი წახნაგის ზედა კომპოზიციაში, სადაც მას მიჩენილი აქვს ადგილი აღსაყდრებული ღმრთისმშობლის გვერდით; ქვასვეტის სამხრეთ წახნაზე, ორი წმინდა პერსონაჟის ქვემოთ მოთავსებული არის ორი სამფიგურიანი კომპოზიცია — მამაკაცი, ქალი და ბავშვი („ოჯახური პორტრეტი“).

განსაკუთრებით საყურადღებოა სვეტის ზედა რეგისტრში ღმრთისამშობლის მარჯვნივ გამოსახული მამაკაცის პორტრეტი. ზემოთ უკვე აღინიშნა, ქრისტეს, ღმრთისმშობლისა და წმინდანთა წინაშე ვედრებით წარმდგარი იმპერატორთა და დიდებულთა პორტრეტები ბიზანტიაში იუსტინიანეს ხანაში ჩნდება და შემდგომ ეს თემა მყარ ტრადიციად იქცევა. საინტერესოა, რომ VI საუკუნის ქვაჯვარაზე ჩვენ გვაქვს ამ ბიზანტიური ტრადიციის თავისებური გამოძახილი. საერო კოსტიუმით მოსილი მამაკაცი, რომლის სოციალურ სტატუსზე მეტყველებს ყვავილი მის მარჯვენა ხელში, უთუოდ, მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენელია. სასანიანთა იმპერიაში მიღებული ყვავილი-ინ-სიგნია, როგორც პიროვნების გამორჩეულობის ნიშანი, გავრცელდა საქართველოში, რისი არაერთი მაგალითი გვავაქვს ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე.<sup>2</sup> საგულისხმოა, რომ მამაკაცის ჩაცმულობა, ტიპური მხედრული სამოსი — ქამრით გადაჭრილი გრძელი „კაბა“, დამახასიათებელი ფორმის რკალისებური მოხაზულობის ორნამენტული ქობით, გვერდებზე ვერტიკალურად ჩაჭრილი კალთით — ხშირია ამ ეპოქის ქართველ წარჩინებულთა გამოსახულებებზე.<sup>3</sup>

ქვაჯვარაზე, რომელიც აღიმართა ქრისტესა და ღმრთისმშობლისადმი მიმართული შენევნისა და მფარველობის ვედრებით, ბუნებრივია ღმრთის-

<sup>1</sup> Чубинашвили, *Ханиси*, გვ. 71-74; მაჩაბელი, ქრისტიანული თემები, გვ. 43- 60; მისივე, ქართული ქვაჯვარები, გვ. 78-120.

<sup>2</sup> ადრეულ შუა საუკუნეებში სასანურ ირანში გავრცელებული ყვავილის სიმბოლური თემის შესახებ ი. Օრბელი, ტრევერ, *Сасанидский металлы*; Ackermann, *Sasanian Seals*, გვ. 784-815; Тревер, *Новое сасанидское блюдо*, გვ. 256-270; Ghirshmann, *Iran. Parthes*, გვ. 297-230; მაჩაბელი, *Поздне-античная торевтика*, გვ. 112-113; ლუკონინ, *Искусство древнего*, გვ. 156, 163, 169.

<sup>3</sup> მაჩაბელი, ქართული ისტორიული, ტაბ. 18, გვ. 61-63.

მშობლის წინაშე საკულტო ძეგლის დამკვეთის გამოსახვა. ეს რელიეფური კომპოზიცია ორგანულად აღიქმება ადრეული შუა საუკუნეების მარიოლო-გიურ გამოსახულებათა კონტექსტში. ბრდაძორის ქვაჯვარას ეს კომპოზიცია ჩვენ წინაშე წარმოდგება, როგორც ადრექრისტიანულ ეპოქაში გავრცელებული იყონოგრაფიული სქემის ვარიაცია, რომელიც მოიცავს თაყვანსაცემ წმინდა სახეს და მომგებლის პორტრეტს. ამგვარი გამოსახულებები გვხვდება როგორც მონუმენტურ ხელოვნებაში, ასევე ხატებსა და რელიეფზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პორეჩის (პარენცოს) ბაზილიკის ცენტრალური აბსიდის მოზაიკა (VI ს.), სადაც ღმრთისმშობლის გვერდზე ქტიტორები არიან გამოსახულნი,<sup>1</sup> თესალონიკის წმ. დემეტრეს ეკლესის გვერდითი ნავის მოზაიკა (გვიანი VI ს.) აღსაყდრებული ღმრთისმშობლის გვერდით შემკვეთის ოჯახის გამოსახულებით,<sup>2</sup> კომოდილას კატაკომბების ერთ-ერთი სამარხის ფრესკა (რომი, 530) აღსაყდრებული ღმრთისმშობლისა და ორი წმინდანის გვერდით გარდაცვლილი ქალბატონის ტურტურას გამოსახულებით.<sup>3</sup>

ბრდაძორის ქვაჯვარას ეს რელიეფური კომპოზიცია უნდა განვიხილოთ, როგორც ადრექრისტიანული ეპოქის მონინავე ხელოვნებათა სისტემაში არ-სებული ეროვნული შემოქმედების ნაყოფი, რომელშიც ჩანს როგორც ახალი ქრისტიანული ხელოვნების მიერ შემოთავაზებული ნიმუშების ათვისება, ასევე ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების ძალა, რაც ფორმების პლასტიკურ გადმოცემაში იჩენს თავს.

ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარათა რელიეფებთან დაკავშირებით არაერთხელ აღმინიშნავს კოპტურ ხელოვნებასთან იყონოგრაფიული და სტილური კავშირების არსებობა. ამ კონკრეტულ კომპოზიციის პლასტიკური გადაწყვეტა და სტრუქტურული წყობა გარკვეულ სიახლოვეს ავლენს VI-VII საუკუნეების კოპტურ ქვის რელიეფებთან. ანალოგიურია არა მხოლოდ მხატვრული მიდგომა, არამედ კონკრეტული დეტალებიც. ამის მაგალითია კაიროს კოპტური მუზეუმის ერთ-ერთი რელიეფი ღმრთისმშობლის გამოსახულებით (n. 8006), სადაც ანგელოზის ჟესტი ბრდაძორის დიდებულის ჟესტის იდენტურია. ანალოგიურია ფიგურათა სქემატიზაციის ხასიათი, ფორმის პლასტიკური გადმოცემა.<sup>4</sup> არსებობს მოსაზრება, რომ ამ ტიპის კოპტური რელიეფები<sup>5</sup> საკმაოდ ხელოსნურად იმეორებს სპილოს ძვლის ბიზანტიურ დიპტიქის ღმრთისმშობლის რელიეფურ ხატს.<sup>6</sup> ამ ვითარებამ უნდა დაგვაფიქროს იმ

<sup>1</sup> Прелог, *Мозаики Поречиа*, გვ. 1-2.

<sup>2</sup> Barber, *Early Representations*, ტაბ. 197-198.

<sup>3</sup> იქვე, ტაბ. 196.

<sup>4</sup> Beckwith, *Coptic Sculpture*, ტაბ. 113.

<sup>5</sup> იქვე, ტაბ. 111-112.

<sup>6</sup> Volbach, *Elfenbeinarbeiten*, გვ. 137.

ნიმუშებზე, რომლებიც ქართველ მოქანდაკეთ ჰქონდათ ხელთ თავიანთი რელიეფების შექმნისას.

ბრდაძორის ქვაჯვარას სვეტის სამხრეთი წახნაგის სულ ზედა ნაწილში განლაგებულია ორფიგურიანი კომპოზიცია — სამღვდელმთავრო სამოსით მოსილი ორი ფრონტალური ფიგურა და მის ქვემოთ — ერთნაირი სქემით აგებული, თითქმის იდენტური ორი სამფიგურიანი რელიეფი: მარცხნივ — მამაკაცი, რომელსაც მკერდთან მიტანილ მარჯვენა ხელში ყვავილი უჭირავს, მარცხნათი კი მის გვერდით მდგომი ბავშვის ხელი უკავია, მარჯვნივ — მოსასხამში გახვეული ქალის ფიგურა. ჯგუფური რელიეფი უთუოდ ზემოთ გამოსახული დიდებულის ოჯახის წევრებს უნდა ასახავდეს. ეს „ოჯახური პორტრეტი“ VI საუკუნის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთ საგვარეულოს უნდა ეკუთვნოდეს.

ამ რელიეფზე გამოსახული მამაკაცის კოსტიუმი, მისი სოციალური სტატუსის მარკერი, ღმრთისმშობელთან გამოსახული მამაკაცის ჩაცმულობას იმეორებს. ანალოგიური სამოსით არის მოსილი ბავშვი. ქვასვეტის წახნაგების მხატვრულ-იდეური მხარე ზუსტად არის გათვლილი. თუ მთავარი — დასავლეთი წახნაგი, რომლის ზედა ნაწილში ღმრთისმშობლის გვერდით საერო პირი არის გამოსახული, ბიბლიური სიუჟეტებით არის დაფარული, სამხრეთის წახნაგზე უპირატესად წმინდა პერსონაჟების წყვილები და საერო პირები არიან გამოსახულნი. მოქანდაკემ საერო პორტრეტებს გამოსახულთა სოციალური პოზიციისა და საგვარეულოში მათი ადგილების შესაბამისი პოზიციები მიუჩინა.

სვეტის ზედა ნაწილში ღმრთისმშობლის წინაშე დიდებულის წარდგენას ორგვარი ახსნა შეძლება მოეძებნოს. ერთი მხრივ, ქვაჯვარების რელიეფურ დეკორზე დაკვირვებამ გვიჩვენა მათი ერთგვარი კავშირი ადრექრისტიანული ტაძრების აბსიდების პროგრამებთან, რომლებშიც ქტიტორები გამოისახებოდნენ მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის წინაშე.<sup>1</sup> ნიშანდობლივია, რომ ქვაჯვარათა რელიეფურ დეკორში იერარქიის იგივე პრინციპი არის გამოყენებული, რომელსაც ეფუძნებოდა ტაძრების ფრესკული დეკორი — მთავარი, ზეციური ზონა იყო აბსიდის კონქი და გუმბათი. სავარაუდოა, რომ ქვასვეტის მთავარი, დასავლეთის წახნაგის ზედა ნაწილში გამოსახული საერო პირი ყვავილით-ინსიგნიით ხელში ფეოდალური საგვარეულოს უფროსი წევრია და ამ გამორჩეული ადგილით ხაზი გაესვა მის განსაკუთრებულ სტატუსს. რაც შექება ორ „ოჯახურ“ პორტრეტს, ისინი ქვასვეტის უფრო „მოკრძალუბულ“, სამხრეთ წახნაგზე არიან განთავსებულნი, მაგრამ მათი პოზიციაც სა-

<sup>1</sup> Grabar, *Martirium*, გვ. 87-199; Ihm, *Die Programme*, გვ. 12-40; Brenk, *The Apse, the Images*, გვ. 88-91.

განგებოდ არის გათვლილი. ეს ორი ჯგუფური პორტრეტი განლაგებულია კაპიტელის უნიკალური კომპოზიციის — „ღმრთისმშობლის სულის ამაღლების“ ქვემოთ. კაპიტელისაგან მათ გამოყოფს ორფიგურიანი სცენა — სამღვდელმთავრო სამოსში გამოწყობილი ორი პერსონაჟი, რომელთაგან ერთს ხელში საცეცხლური უპყრია, მეორეს — კოდექსი. ამ წმინდა სახეებს არ ახლავთ წარწერები, მაგრამ მათი პოზიცია ღვთისმშობლის სულის ამაღლების კომპოზიციასთან ცხადყოფს მათ ვინაობას. საცეცხლურით ხელში წმ. პეტრე უნდა იყოს, ხოლო კოდექსით ხელში — წმ. ანდრია. ეს ორი მოციქული ამგვარი ატრიბუტებით ღმრთისმშობლის მიძინების (*koimesis*) სცენის უცვლელი მონაწილეები არიან.<sup>1</sup> ამგვარად, დამკვეთთა „ოჯახები“ უშუალოდ ღმრთისმშობლისა და მოციქულების მფარველობის ქვეშ ექცევიან.

საერო პორტრეტების ასეთ დიფერენცირებულ განთავსებას სხვა ახსნაც მოეპოვება. შესაძლოა, ღმრთისმშობელთან გამოსახული დიდებული ოჯახის გარდაცვლილი წევრია. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ადრებიზანტიური კატაკომბების კედლის მხატვრობის ნიმუშები, სადაც ოჯახის გარდაცვლილი წევრები ზედა რეგისტრში გამოისახებოდნენ.<sup>2</sup>

საერო პორტრეტი არის ჩართული დმანისის რაიონში (ნაზღაურა) აღმოჩენილ ქვაჯვარას რელიეფურ დეკორში.<sup>3</sup> ქვაჯვარას სვეტის მხოლოდ ერთი წახნაგი არის შემკული ფიგურული გამოსახულებებით (ნათლისლება, წმინდანების და მოციქულების ორი წყვილი), კაპიტელის ოთხივე წახნაგი რელიეფით არის დაფარული. კაპიტელის მთავარ, დასავლეთ წახნაგზე აღსაყდრებული ჩივილედი ღმრთისმშობლის რელიეფური ხატია, მის მომიჯნავე სამხრეთ წახნაგზე ორი საერო პირი არის გამოსახული. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ წახნაგებზე ფარშევანგისა და ლომის სიმბოლური გამოსახულებებია.

კაპიტელი, ქრისტიანული „ვერტიკალური იერარქიის“ მიხედვით, მხატვრულად და იდეურად ქვაჯვარას ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა დამაგვირგვინებელი სკულპტურული ჯვარი. ორი საერო პირის პორტრეტების მოთავსება ქვაჯვარას ამ ნაწილზე უთუოდ ამ პიროვნებათა მაღალი სოციალური სტატუსის მიმანიშნებელია.

კაპიტელზე, ქვაჯვარას უმაღლეს ზონაში, იკონოგრაფიული პროგრამის გამორჩეულ ადგილას, ღმრთისმშობლის ხატის მომიჯნავე წახნაგზე საერო პირთა გამოსახვა მათ დაწინაურებულ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს. ისინი VI საუკუნის დასასრულის აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლები არიან. ფრონტალურად მდგომი მამაკაცები ზუსტად ერთნაირი უქსტებით არიან გამოსახულნი, ორივეს

<sup>1</sup> Evangelatou, *The Symbolism of the censer*, გვ. 119-120.

<sup>2</sup> Caillaud, *Le figure du commanditaire*, გვ. 66-121.

<sup>3</sup> მაჩაბელი, ქვაჯვარა აღსაყდრებული, გვ. 55-82.

მარცხენა ხელი პატივისცემის უესტით მკერდთან აქვს მიტანილი. ღმრთის მშობლის ხატთან უფრო ახლო მდგომ მამაკაცს, რომელიც ზომითაც ოდნავ აღემატება მეორეს, ხელში ჯვარი უჰყურია, მეორეს — ყვავილი-ინსიგნია.

განსხვავებულია მამაკაცთა ჩაცმულობა, რაც მათ სხვადასხვა სოცია-ლურ რანგზე მიუთითებს. მარჯვენა მამაკაცის სამოსელი — გრძელსახელოებიანი „ქვეითი“ კაბა და მარცხენა მხარზე დამაგრებული მოსასხამი ადრებიზანტიური საიმპერატორო კარის ჩაცმულობის თავისებური ვარიაცია (tunica laticlavia და palium), რომლის ანალოგს ვხედავთ სამწევრისის რელიეფურ ფილაზე (V-VI სს. მიჯნა) ჯვრის თაყვანისცემის სცენაში გამოსახულ საერო პირის კოსტიუმში.<sup>1</sup>

მეორე მამაკაცი შემოსილია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული მხედრული კოსტიუმით. ეს არის ქულაჯის მსგავსი, გვერდებზე ჩაჭრილი, ბალთიანი ქამრით გადაჭერილი კაბა მორკალული ქობით. მამაკაცს ზეალმართულ ხელში შროშანისებრი ყვავილი უკავია, როგორსაც ვხედავთ ამ ეპოქის ქართულ რელიეფურ პორტრეტებზე (იხ. ქართველ დიდებულთა რელიეფური სახეები სამწევრისის, დმანისის, ბრდაძორის, ბოლნისის, ბალიჭის ქვაჯვარათა სვეტებზე).<sup>2</sup> ქართულ ქვაჯვარათა რელიეფურ პორტრეტებზე ხშირია ამ „კავკასიური“ კოსტიუმის სხვადასხვა ვარიაცია, რაც უთუოდ გამოსახულ პიროვნებათა განსხვავებულ სოციალურ სტატუსზე მიუთითებს. კოსტიუმის ხასიათი რელიეფებზე გამოსახული ქართველი წარჩინებულების წოდებრივი მდგომარეობის ანარეკლია, რადგან ფეოდალურ საზოგადოებაში მკაცრად იყო რეგლამენტირებული სხვადასხვა სოციალური ფენის ჩაცმა-დახურვის წესი.

პიროვნებები დიფერენცირებული არიან ჩაცმულობით და ატრიბუტებით. გარკვეული გრადაცია ჩანს ღმრთისმშობლის ხატის მიმდებარე წახნაგზე მათ განლაგებაშიც. საფასადო მხარეს უშუალოდ ემიჯნება ბიზანტიურ ოფიციალურ კოსტიუმთან დაახლოებული სამოსით მოსილი, ზომით გამორჩეული მამაკაცი. იგი სოციალურად უფრო დაწინაურებული უნდა იყოს. ჯვარი მის ხელში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული: ერთი მხრივ, თუ გავითვალისწინებთ VI-VII სს-თა კოპტურ სამარხ სტელებზე მიცვალებულ-

<sup>1</sup> მაჩაბელი, ქართული ისტორიული, გვ. 20-22. საქართველოში ბიზანტიური მოდის შემოსვლა უკვე V-VI საუკუნეებში აღინიშნება, რაც ბიზანტიული მწერლების ცნობებით დასტურება. ერთ-ერთი ბიზანტიური ქრონიკა მოგვითხრობს იუსტინეს დროს (522) ლაზთა მეფის წათეს კონსტანტინოპოლიში ჩასვლის შესახებ. მან იმპერატორისაგან მიიღო სამეფო ნიშნები, რომელთა შორის იყო პარადული სამოსი: თეთრი სტიქარი-პარაგაუდი, ოქრომკედით ამოქარგული იუსტინეს პორტრეტით (Беляев, Укращения позднеантичной, გვ. 28-29). ანალოგიურ ამბავს ვიგებთ ბიზანტიული ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის (538-582) თხზულებიდან (გეორგიეს, ტ. III, გვ. 84).

<sup>2</sup> ამ ჰერალდიკური მოტივის შესახებ იხ. N11.

თა ჯვრით ხელში გამოსახვას,<sup>1</sup> შესაძლოა, იგი ამ პიროვნების გარდაცვალებაზე მიუთითებდეს. მეორე მხრივ, შეიძლება დავუშვათ, რომ ჯვრით ხელში გამოსახვა საგვარეულოს უფროსის ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულებაზე მიუთითებს. ინსიგნია-ყვავილი „კავკასიური“ კოსტიუმით შემოსილი მამაკაცის ხელში კი უთუოდ მის გარკვეულ სამოხელეო ღირსებას უნდა აღნიშნავდეს. შესაძლოა, ეს ორი მამაკაცი ერთი საგვარეულოს ორი თაობის წარმომადგენელია და ოსტატმა ამგვარად გამოხატა მათი ადგილი სოციალურ იერარქიაში თუ ოჯახში.

საერო პორტრეტების სიმრავლით გამოირჩევა კატაულას ქვაჯვარა (VII ს.), რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია ჩვენთვის ცნობილ ქვაჯვარათა შორის, რომელზეც საერო გამოსახულებების რაოდენობა რელიგიურ თემებს აჭარბებს.<sup>2</sup> ზემოგანხილული ქვაჯვარებისგან განსხვავებით, რელიგიური სიუჟეტები მხოლოდ სვეტის მთავარ დასავლეთ წახნაგზე არის განთავსებული (წმინდანთა და მოციქულთა რელიეფები და ქვედა რეგისტრში — ჯვრის განდიდების სცენა), ჩრდილოეთი და სამხრეთი წახნაგები მთლიანად საერო პირთა პორტრეტებს აქვს დათმობილი. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც ქვასვეტზე ფეოდალური საგვარეულოს/ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრებია გამოსახული. მათ განთავსებას გარკვეული პრინციპი უდევს საფუძვლად: ჩრდილოეთ წახნაგზე მამაკაცები არიან წარმოდგენილნი, სამხრეთისაზე — ქალები.

ქვასვეტის დაზიანების გამო (ჩამოტეხილია სვეტის როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილები) ვერ ხერხდება ამ ფეოდალური ოჯახის სრული შემადგენლობის დადგენა. შემორჩენილია მამაკაცთა და ქალთა ხუთ-ხუთი პორტრეტი, თუმცა ზემოთ და ქვემოთ დარჩენილია ფიგურების ფრაგმენტები. პორტრეტებს თან ახლავს ასომთავრული წარწერები, რომელთაგან ბევრი დაზიანებულია, მაგრამ დარჩენილი წარწერები მნიშვნელოვან ისტორიულ საბუთებს წარმოადგენს. ჩრდილოეთ წახნაგის ერთ-ერთ ფიგურასთან წარწერაა: „წმიდაო თევდორე და ილარიონ, შეიწყალე გრიგოლ ვიპატოსი“.<sup>3</sup> ბიზანტიის იმპერატორი საკარისკაცო ტიტულს ვიპატოსს, სხვა ტიტულების მსგავსად (კურაპალატი, პატრიკიოსი), თავისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების ფეოდალურ მფლობელებს უბოძებდა კეთილგანწყობის ნიშნად და მათი ადგილობრივი ავტორიტეტის გასაძლიერებლად.

კატაულას ქვაჯვარას შემკვეთი დიდებულის სოციალური სტატუსის წარმოსადგენად საკმარისია გავიხსენოთ, რომ ტიტული ვიპატოსი მოხსენე-

<sup>1</sup> Effenberger, *Koptische Kunst*, ტაბ. 36.

<sup>2</sup> მაჩაბელი, ადრეული შეუსაუკენების, გვ. 120-141.

<sup>3</sup> შოშიაშვილი, ქართული წარწერების, გვ. 120.

ბულია ერისთავთა ოჯახის წევრთან, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ ქტიტორთან — დემეტრე ვიპატოსთან<sup>1</sup> და წრომის ტაძრის (VII ს.) სამხრეთ ფასადის წარ-წერაში: „წმიდაო ეკლესიაო, სტეფანოზ ვიპატოსი შეიწყალე“.<sup>2</sup> ამ გარემოების გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ კატაულას ქვაჯვარას შემკვე-თი გრიგოლ ვიპატოსი ქვეყნის მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენე-ლი უნდა იყოს. ამას ისიც ადასტურებს, რომ მის მიერ აღმართული ვოტი-ვურ-მემორიული ძეგლი მისი ოჯახის/საგვარეულოს წევრების პორტრეტების სიმრავლით გამოირჩევა.

გრიგოლ ვიპატოსის ქვემოთ გამოსახული მამაკაცი ანალოგიური თარ-გის კოსტიუმით არის მოსილი. გრიგოლისაგან განსხვავებით, რომელსაც ორივე ხელი ვედრების ჟესტით მკერდთან აქვს მიტანილი, ამ მამაკაცს ხელში კვერთხი უპყრია, რომელიც საგვარეულოს ამ წარმომადგენლის სამოხელეო სტატუსზე მიანიშნებს. კოსტიუმის დეტალების მიხედვით (გრიგოლის საზეი-მო სამოსელი გამორჩეულია თავისი შემკულობით) ამ მამაკაცს გრიგოლთან შედარებით უფრო დაბალი სოციალური პოზიცია უნდა ჰქონოდა, რასაც ქვაჯვარებზე მიღებული ვერტიკალური იერარქიის პრინციპი მიანიშნებს.<sup>3</sup>

კატაულას ქვაჯვარა უნიკალური საკულტო ძეგლია, რომელზეც ადრეუ-ლი შუა საუკუნეების ქართველ ქალთა პორტრეტებია გამოსახული. ეს არის VII საუკუნეში ქვეყნის ფეოდალური საგვარეულოს თავისებური „გენეალოგიური ხის“ იშვიათი ნიმუში, სადაც პიროვნებები გარკვეული იერარქიული წესით არიან განლაგებულნი. ქვასვეტის სამხრეთ წახნაგი დათმობილი აქვს ფეო-დალური ოჯახის ქალების პორტრეტებს. ხუთი გადარჩენილი პორტრეტიდან ორი შედარებით კარგად არის შემონახული. პარადულ სამოსელში გამოწყო-ბილი მანდილოსნების პორტრეტებს წარწერები ახლავს. ზედა პორტრეტის დაზიანებულ წარწერაში დარჩენილია მხოლოდ სახელის დაბოლოება „...რი“. კარგად იყითხება ზემოდან მეორე პორტრეტის წარწერა: „ჯუარო პატიოსა-ნო, მარიამ მხევალი შენი შეიწყალე“. მის ქვემოთ გამოსახულ ქალბატონთან მოთავსებულ დაზიანებულ წარწერაში იკითხება „ესაკ...“.<sup>4</sup> ამ შემთხვევაშიც ვერტიკალური იერარქიის წესი არის დაცული — უფრო მდიდრულად შემოსი-ლი მარიამის პორტრეტი ზედა რეგისტრშია განთავსებული, რაც ოჯახში (თუ საგვარეულოში) მის აღმატებულ ღირსებაზე მიანიშნებს.

<sup>1</sup> Чубинашвили, *Памятники труда*, გვ. 143, ტაბ. 21.

<sup>2</sup> თ. უორდანიამ წრომის წარწერა XIX საუკუნის დასასრულს წაიკითხა და დაასკვნა, რომ მასში მოხსენებული არის სტეფანოზ II (629-62), რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ წახსნებია, როგორც „მაშენებელი ეკლესიათა“ (ძრობივპი, ნ. I, გვ. 69-70).

<sup>3</sup> ამ პორტრეტსაც ასომთავრული წარწერა ახლავს, მაგრამ ძლიერი დაზიანების გამო მისი წაკითხვა ვერ ხერხდება. ნ. შოშიაშვილი კითხულობს მას როგორც სახელს „მუჭელ“ (შოშიაშ-ვილი, ქართული წარწერების, გვ. 121).

<sup>4</sup> შოშიაშვილი, ქართული წარწერების, გვ. 123.

ქვასვეტის წახნაგებზე მამაკაცთა და ქალთა პორტრეტების განაწილებაში გარკვეული ტენდენცია შეინიშნება. ერთი შეხედვით, ქვასვეტის გვერდით წახნაგებზე მათი ერთნაირი რაოდენობით გამოსახვა გენდერულ თანასწორობაზე მიუთითებს, მაგრამ ძალზე ფრთხილი ხერხით მაინც უპირატესობა მამაკაცთა პორტრეტებს აქვს მინიჭებული. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ეკლესიასთან აღმართული ქვაჯვარების ოთხნახნაგა სვეტების მიმართება საკუთრივ ეკლესიასთან და ამასთან დაკავშირებით სვეტის წახნაგთა გარკვეული „იერარქია“. ქვაჯვარას ჩრდ. წახნაგი ეკლესიისკენ არის მიმართული, რითაც კატაულას ქვაჯვარაზე მოთავსებულ მამაკაცთა პორტრეტებს უპირატესობა აქვს მინიჭებული.

ვინაიდან ჩემი ამოცანა არის ქვასვეტების რელიეფურ დეკორში საერო პორტრეტის ჩართვის პრიციპებზე დაკვირვება, მე არ ვეხები ფრაგმენტულად შემონახულ საერო პორტრეტების საკმაოდ მრავალრიცხოვან ცალკეულ ნიმუშებს. მაგრამ არ შეიძლება არ ვახსენო ასევე ძალზე ფრაგმენტულად შემონახული დავათის ქვაჯვარას სვეტის ნაწილი დამკვეთთა პორტრეტებით. დავათის ქვაჯვარას ფრაგმენტზე მხოლოდ სამი რელიეფური სცენა არის დარჩენილი, ამიტომ მსჯელობა მის სრულ იკონოგრაფიულ პროგრამაზე შეუძლებელია, მაგრამ ფრაგმენტის სიმცირის მიუხედავად, ზუსტად შეიძლება ქვასვეტის წახნაგებზე თემების განაწილების გარკვევა.<sup>1</sup> ქვასვეტის ზედა სიბრტყეში არ არის ბუდე სკულპტურული ჯვრის ჩასადგმელად, რაც ცხადყოფს, რომ სვეტის ზედა ნაწილი ჩამოტეხილია. მთავარ დასავლეთ წახნაგზე შემორჩენილია ორი რელიეფური კომპოზიცია: ქვემოთ — დონატორთა ორი ერთნაირი ფიგურა ზემოთკენ მიმართული მანიშნებელი უქსტით და მათ ზემოთ ორი მთავარანგელოზი (ერთ-ერთ ანგელოზთან არის დაქარაგმებული წარწერა „მ ღ“ — მიქაელ). ქვაჯვარების ზედა რეგისტრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთავარანგელოზების ასეთი პოზიცია გვხვდება რეპრეზენტატიულ, საზეიმო კომპოზიციებში (ქრისტეს ამაღლება, ღმრთისმშობლის თაყვანისცემა, ჯვრის თაყვანისცემა).<sup>2</sup> მოპირდაპირე აღმოსავლეთ წახნაგზე მოთავსებული ღმრთისმშობლის რელიეფური ხატი უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ ქვასვეტის ზედა ნაწილში ქრისტეს ამაღლების კომპოზიციის არსებობა, რადგან ღმრთისმშობლი ამ სცენის მუდმივი მონაწილეა და ქვაჯვარებზე ამ თემას მუდამ ახლავს ღმრთისმშობლის გამოსახულება.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მაჩაბელი, დავათის ქვასვეტის, გვ. 69-85.

<sup>2</sup> იბ. ხანდისის, ბრდაძორის, დმანისის, მამულას ქვაჯვარები (მაჩაბელი, ადრეული, ილ. 8-9, 10-20, 35).

<sup>3</sup> ამის მაგალითებია: ბაუიტისა და საქარას კოპტური ტაძრების კედლის მხატვრობა (VI ს.) (Dalton, *Byzantine Art*, ნახ. 336-337, გვ. 548), რაბულას სირიული სახარების მინიატურა (586), ეგვიპტური წარმომავლობის მონუმენტური ნაქსოვი ხატი (VI ს.) (Weitzmann, *Age of Spirituality*, გვ. 455, სურ. 68; ი. 477, ტაბ. XIV, გვ. 532-533).

ამ წყვილის ანონიმურობის მიუხედავად, ცხადია, რომ აქ გამოსახული არიან აღმოსავლეთ საქართველოს წარჩინებულნი, რაზეც მიუთითებს მათი სოციალური სტატუსის ნიშანი — კოსტიუმი, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში ქართულ ნიადაგზე ბიზანტიური საკარისკაცო კოსტიუმის ორიგინალურ ტრანსფორმაციას წარმოადგენს. ამავე დროს ქტიტორთა სამოსელი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს მცხეთის ჯვრის სამხრ. ფასადზე გამოსახულ ერისთავთა ოჯახის უმცროსი წევრის ქობულ-სტეფანოზის სამოსელთან.<sup>1</sup> ეს გვაფიქრებინებს, რომ დავათის ქვაჯვარას დონატორები საზოგადოების იმ ფენას განეკუთვნებიან, რომელიც ახლოს იყო ერისთავთა საგვარეულოსთან, მაგრამ მათთან შედარებით იერარქიული კიბის უფრო დაბალ საფეხურზე იდგა.

დავათის ქვასვეტის დარჩენილი სცენების სიძირის მიუხედავად, კარგად ჩანს მათი ურთიერთკავშირი. ქვედა რეგისტრში გამოსახული დამკვეთნი, მთავარანგელოზთა წყვილი, რომელიც ამაღლების სცენაზე მიგვანიშნებს, მოპირდაპირე წახნაგზე გამოსახული ჩვილედი ღმრთისმშობელი — ყვალაფერი ერთად წარმოგვიდგენს ადრებიზანტიურ ხანაში გავრცელებულ თემას — ქრისტესა და ღმრთისმშობლის წინაშე შემწირველთა წარდგინებას, რაც ზუსტად შეესატყვისება ქვაჯვარათა აღმართვის მიზანს — ღვთაებრივი შემწეობისა და მფარველობის ვედრებას.

სრულიად განსხვავებულად არის გამოსახული დამკვეთი უსანეთის ქვაჯვარაზე (VIII-IX სს.), რომელიც თავისი სახვითი საშუალებებით და სტილით გამოირჩევა VI-VII საუკუნეთა ზემოგანხილული ქვაჯვარებისაგან.<sup>2</sup> მე არ შევხები ქვაჯვარას რელიეფური პროგრამის დეტალებს, განვიხილავ მხოლოდ ეკლესისკენ მიმართულ ქვასვეტის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც ორი მთავარანგელოზის ქვემოთ რთული ოთხფიგურიანი სცენა არის გამოსახული. სვეტის ზედაპირი ძალზე დაზიანებულია, რაც ართულებს კომპოზიციის გარჩევას. მარცხენა ქვედა კუთხეში თავისი ზომით გამორჩეული მუხლმოდრეკილი ფიგურაა, მავედრებელი ჟესტით ზეაღმართული ხელებით. მის გვერდით ვერტიკალურად წარწერაა განთავსებული: „წმ(იდა)ო კვირიკე კა...ო.... შ(ე)ი წ(ყალ)ე“.<sup>3</sup> კომპოზიციის ცენტრში, სცენის ზედა ნაწილში პატარა ფიგურაა, რომელიც მფარველობის ჟესტით მუხლმოდრეკილი ფიგურის თავს ხელით ეხება. ამ ფიგურას წარწერა ახლავს: „წმ(იდა)ო კვირიკე“. მისგან მარცხნივ ანგელოზის ფრონტალური ფიგურაა, რომელსაც მარცხენა ხელში გრაგნილი უკავია, მარჯვენათი კი წმ. კვირიკეს თავთან მონამის ჯვრიანი გვირგვინი

<sup>1</sup> ყუბინაშვილი, *Памятники труда*, ტაბ. 22.

<sup>2</sup> მაჩაბელი, ძველი ქართული, გვ. 65-75.

<sup>3</sup> ამ წარწერის შესახებ იხ. ბარნაველი, უსანეთისა და წრომის, გვ. 191-202; შოშიაშვილი, ქართული წარწერების, გვ. 124.

უკავია. წმინდანი და ანგელოზი კომპოზიციის ზედა — „ზეციურ სფეროში“ არიან გამოსახულნი. სცენის მარჯვენა ნაწილში, ანგელოზის ქვემოთ ძალზე დაზიანებული პატარა ფიგურა განირჩევა. მის გვერდზე წარწერაა: „წმ(იდა)ო კვირიკე შ(ე)ინყალე“ (მავედრებლის სახელი დაზიანებულია და არ იკითხება).

უსანეთის ქვაჯვარა გამორჩეულია არა მხოლოდ თავისი სტილითა და მხტავრულ-კომპოზიციური თავისებურებით, არამედ სრულიად განსაკუ-თრებული სიუჟეტით, რომელშიც რეალურად არის ასახული შემწირველთა ვედრებით მიმართვა წმ. კვირიკესადმი. ეს სცენა მოკრძალებულად ქვასვეტის ქვედა ნაწილში არის განთავსებული. შესაძლოა, დამკვეთთა ამგვარ გამოსახ-ვაში მათი სურვილი იყო გათვალისწინებული. ალსანიშნავია, რომ უსანეთის ქვაჯვარაზეც დამკვეთთა გამოსახულება სვეტის ჩრდილოეთ მხარეს არის განთავსებული, რომელიც ტრადიციულად ეკლესიისკენ უნდა ყოფილიყო მი-მართული, რაც აძლიერებს მავედრებლის კონტაქტს საკრალურთან.

საერო პორტრეტების განთავსება ქვაჯვარებზე გარკვეულ იდეურ და სოციალურ საფუძვლებს ემყარებოდა. ჩვენთვის დღეს საქმაოდ რთული არის კატეგორიული დასკვნების გაკეთება, რაც გაცილებით მეტ მასალას საჭი-როებს. ქვაჯვარებზე საერო პორტრეტების განლაგება დამკვეთთა ღვთის-მოსაობის გარდა, მათი სოციალური სტატუსის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად. პორტრეტის პოზიცია ქვაჯვარაზე თავისებური მინიშნება იყო საზო-გადოებაში პიროვნების მდგომარეობაზე. ასე მაგალითად, სავარაუდოა, რომ ბრდაძორის ქვაჯვარას სვეტის დასავლეთ წახნაგის ზედა რეგისტრში ღმრთის-მშობლის წინაშე მდგომი მამაკაცი ფეოდალური საზოგადოების დაწინაურე-ბელი ფენის წარმომადგენელი უნდა იყოს. იგივე შეიძლება ითქვას დაგათის ქვაჯვარას სვეტის დასავლეთ მხარეს, ამაღლების კომპოზიციის ქვემოთ გა-მოსახულ პერსონაჟებზე, რომლებიც ბიზანტიურ საკარისკაცო კოსტიუმთან მიახლოვებული სამოსით არიან შემოსილნი. ნაზღაურას ქვაჯვარას კაპიტელ-ზე ღმრთისმშობლის ხატის გვერდით გამოსახული მამაკაცებიც უთუოდ სა-ზოგადოების მაღალ წრეს მიეკუთვნებიან.

იერარქიული გრადაცია არსებობდა ქვაჯვარას ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეთა შორის. ბრდაძორის ქვაჯვარაზე ორი „ოჯახური პორტრეტი“ სვე-ტის სამხრეთ მხარეს არის გამოსახული, რაც მიუთითებს ამ ოჯახის წევრ-თა ადგილზე ფეოდალურ ოჯახში. იგივე შეიძლება შევნიშნოთ კატაულას ქვაჯვარაზე, სადაც ერთი შეხედვით ქვასვეტის წახნაგებზე ერთნაირად გან-თავსებულ მამაკაცთა და ქალთა პორტრეტებს შორის ეკლესიისკენ მიმართულ ჩრდილოეთ მხარეზე განთავსებით უპირატესობა მამაკაცთა შტოს ენიჭება.

განხილული მაგალითებიდან გამოჩენდა, რომ ქვაჯვარებზე დამკვეთთა პორტრეტების განთავსებას გარკვეული პრინციპი ედო საფუძვლად. იგი ით-

ვალისწინებდა მომგებლის პოზიციას ფეოდალურ იერარქიაში, მის წოდებრივ თუ სამოხელეო მდგომარეობას. ქვაჯვარათა რელიეფურ კომპოზიციებში ჩართული საერო პორტრეტები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, რომლის რელევანტური „ნაკითხვა“ მნიშვნელოვანია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისთვის.

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა**

**ბარნაველი, უსანეთისა და წრომის — ბარნაველი თ., უსანეთისა და წრომის სტელების თარიღისათვის, მაცნე სმასმბმ, 1969, N1, გვ. 191-212.**

**მაჩაბელი, ძველი ქართული — მაჩაბელი კ., ძველი ქართული პლასტიკის საწყისებთან, სხ, 1984, N10, გვ. 65-75.**

**მაჩაბელი, საერო პორტრეტი — მაჩაბელი კ., საერო პორტრეტი ადრეფეო-დალურ საქართველოში, „ხელოვნება“, 1991, N2, გვ. 98-112.**

**მაჩაბელი, დავათის ქვასვეტის — მაჩაბელი კ., დავათის ქვასვეტის ადგილი ქართული პლასტიკური ხელოვნების განვითარებაში, მაცნე, იქნს, 1991, N1, გვ. 67-85.**

**მაჩაბელი, ადრეული შუა საუკუნეების — მაჩაბელი კ., ადრეული შუა საუკუნეების საერო პორტრეტის ისტორიიდან (კატაულას ქვასვეტი), ლხ, 1993, N1, გვ. 120-141.**

**მაჩაბელი, ქრისტიანული თემები — მაჩაბელი კ., ქრისტიანული თემები ძველ ქართულ პლასტიკაში (პრდაძორის ქვასვეტი), „ხელოვნება“, 1993, N2 გვ. 43-60.**

**მაჩაბელი, პორტრეტი ადრეული — მაჩაბელი კ., პორტრეტი ადრეული შუა საუკუნეების ქართულ პლასტიკაში (VI-VIIსს.), ლხ, 1998, N4, გვ. 131-161.**

**მაჩაბელი, ქართული ქვაჯვარები — მაჩაბელი კ., ქართული ქვაჯვარები, თბილისი, 1998.**

**მაჩაბელი, ადრეული — მაჩაბელი კ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბილისი, 2008.**

**მაჩაბელი, ქვაჯვარა აღსაყდრებული — მაჩაბელი კ., ქვაჯვარა აღსაყდრებული ღმრთისმშობლის გამოსახულებით, კ. კახიანი, გ. ჭანიშვილი, ჯ. კოპალიანი, კ. მაჩაბელი, ზ. ალექსიძე, ე. ღლილვაშვილი, ნ. პატარიძე, „ადრექრისტიანული საეკლესიო კომპლექსი დმანისიდან“, რედ. გ. გამყრელიძე, თბილისი, 2012.**

**მაჩაბელი, ქართული ისტორიული — მაჩაბელი კ., ქართული ისტორიული კოსტიუმი, თბილისი, 2013.**

**მაჩაბელი, ძველი მუსხის — მაჩაბელი. კ., ძველი მუსხის ქვაჯვარას ინტერ-პრეტაციისათვის, „ანალები. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პოპულარიზაციის სამეცნიერო ცენტრი“, ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის 140 წლისთავს, 12, 2016, გვ. 45-59.**

**მაჩაბელი, ბოლნისის რაიონის** — მაჩაბელი კ., ბოლნისის რაიონის ადრესი-  
სტიანული პლასტიკა (ხელნაწერი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნე-  
ბის ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის არქივი,  
თბილისი, 2009).

ქრონიკები, 6. I — ქრონიკები, 6. I, ტფილისი, 1895.

გეორგიპა, გ. III — გეორგიპა, გ. III, თბილისი, 1963.

**შოშიაშვილი, ქართული წარწერების — შოშიაშვილი ნ., ქართული წარწერების კორპუსი, I (V - X სს.), თბილისი, 1980.**

**Ackermann, Sasanian Seals** – Ackermann Ph., *Sasanian Seals*, SPA, I, ed. A. U. Pope, London-New York, 1938, 83. 784-815.

**Barber, *Early Representations*** – Barber Ch., *Early Representations of the Mother of God*, “Mother of God. Representations of the Virgin in Byzantine Art”, ed. M. Vassilaki, Athens, 2000, p. 253-261.

**Beckwith, Coptic Sculpture** – Beckwith J., *Coptic Sculpture*, London, 1963.

**Brenk, *The Apse, the Images*** – Brenk B., *The Apse, the Images and the Icon. An Historical Perspective of the Apse as a Space for the Images*, Wiesbaden, 2010.

**Caillaud, *Le figure du commanditaire*** – Caillaud A., *Le figure du commanditaire dans l'art funéraire des catacombes de Rome (III<sup>e</sup>-VI<sup>e</sup> siècles)*, S. Brodbeck, A.-O. Poilpré (eds.), “La culture des commanditaires. L’œuvre et l’empreinte”, Paris, 2015, 83. 66-121.

Dalton, *Byzantine Art* – Dalton O. M., *Byzantine Art and Archeology*, New York, 1904.

Effenberger, *Koptische Kunst* – Effenberger A., *Koptische Kunst*. Leipzig. 1974.

**Evangelatou, *The Symbolism of the censer*** – Evangelatou M., *The Symbolism of the censer in Byzantine representation of the Dormition of the Virgine*, “Image of the Mother of God. Perception of the Theotokos in Byzantium”, ed. M. Vassilaki, Burlington, 2005, a3, 117-132.

Ghirshmann, *Iran. Parthes* – Ghirshmann R., *Iran. Parthes et Sassanides*, Paris, 1962.

**Grabar, L'Empereur** – Grabar A., *L'Empereur dans l'art byzantin*, London, 1971.

**Grabar, *Martirium*** – Grabar A., *Martirium: recherches sur le culte des reliques et l'art chrétien antique*, London, 1972.

**Ihm, Die Programme** – Ihm C., *Die Programme der christlichen Apsismalerei, 4.-8. Jahrhundert*, Stuttgart, 1992.

- Machabeli, Certains aspects** – Machabeli K., *Certains aspects du portrait laïque géorgien du Haut Moyen Age*, 40, “Zograf”, 2016, 83. 35-44.
- Meyendorff, The Byzantine Legacy** – Meyendorff J., *The Byzantine Legacy in the Orthodox Church*, New York, 1982.
- Volbach, Elfenbeinarbeiten** – Volbach W. F., *Elfenbeinarbeiten der Spätantike und des frühen Mittelalters*, Berlin, 1929.
- Weitzmann, Age of Spirituality** – Weitzmann K., *Age of Spirituality*, New York, 1979.
- Беляев, Украшения позднеантичной** – Беляев Н. М., *Украшения позднеантичной и ранневизантийской одежды*, Сборник статей, посвященных памяти Н. П. Кондакова. Археология, История искусства, Византиноведение, SemKond, Прага, 1926, 83. 201-228.
- Кекелидзе, Иерусалимский канонарь** – Кекелидзе К., *Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия)*, Тифлис, 1912.
- К источнику воды** – К источнику воды живой. Письма паломницы IV века, Санкт Петербург, 1860 (Москва, 1994).
- Кондаков, Археологическое путешествие** – Кондаков Н. П., *Археологическое путешествие по Сирии и Палестине*, С. Пб., 1904.
- Курбатов, Ранневизантийские портреты** – Курбатов Г. Л., *Ранневизантийские портреты. К истории общественно-политической мысли*, Ленинград, 1991.
- Луконин, Искусство древнего** - Луконин В. Г., *Искусство древнего Ирана*, Москва, 1997.
- Мачабели, Позднеантичная торевтика** – Мачабели К., *Позднеантичная торевтика Грузии*, Тбилиси, 1976.
- Мачабели, Каменные кресты** – Мачабели К., *Каменные кресты Грузии*, Тбилиси, 1998.
- Орбели, Тревер, Сасанидский металл** – Орбели И. А., Тревер К. В., *Сасанидский металл*, Москва-Ленинград, 1935.
- Прелог, Мозаики Порече** – Прелог М., *Мозаики Порече*, Белград, 1959.
- Северов, Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда** – Северов Н. П., Чубинашвили, Г. Н. *Кумурдо и Никорцминда*, Москва, 1947.
- Тревер, Новое сасанидское блюдо** – Тревер К. В., *Новое сасанидское блюдо Эрмитажа (Из истории культуры народов Средней Азии)*, М.-Л., 1960.
- Чубинашвили, Памятники типа** – Чубинашвили Г. Н., *Памятники типа Джвари*, Тбилиси, 1948.
- Чубинашвили, Хандиси** – Чубинашвили Н. Г., *Хандиси*, Тбилиси, 1972.

## Commissioners' Representation in the Relief Decoration of Georgian Early Christian Stone Crosses

### Summary

Incorporating representations of laymen in works of religious art was a well-established Christian tradition originated in early Christian times. Historical figures depicted in church art are predominantly commissioners of artifacts. Relief portraits of commissioners, mostly local nobility and members of their families, are preserved both on early medieval Georgian stone crosses and on church facades. The distribution of donor figures on stone crosses standing in the open air outside churches, follows its own logic. The paper attempts to retrace the “topography” of commissioners’ images in the decoration system elaborated for such crosses. I argue that the placement of commissioners’ figures was conditioned by their social status, corresponding to the social hierarchy of that time.


In order to understand the hierarchic order of representations of laymen on stone crosses the spatial position of these devotional objects must be taken into consideration, particularly, their spatial interrelation with the church buildings. According to Palestinian tradition, stone crosses were erected to the south-west part of churches (e. g. Kumurdo, Ratevani, Dzveli Muskhi, etc.). The stone cross pillars and their capitals are decorated with narrative compositions, ornaments, crosses, and other Christian symbols. New Testament scenes are combined with Old Testament compositions. There is no fixed place for commissioner figures on the pillars of stone crosses. They can be found in various places and in different contexts – there are single framed figures, couples and families (parents with a child) on various parts of the stone shafts. Some reliefs preserve the names and titles of the depicted individuals (e. g. Grigol *upatos*, Arshusha *patrikios*, Grigol *mamasakhisi*, etc.)

Commissioners’ representations aimed to demonstrate their piety and advanced social status. Special attention is paid to the dress and attributes emphasizing the privileged position of depicted characters. The stone crosses of medieval Georgia, with their developed iconographic systems, communicate important religious messages and demonstrate the active engagement of representatives of power in the creation of mentioned cult objects. The presence of the representatives of local feudal society in the iconographic programs of these cult objects served to promote their influence and rank.


გვ. 1 (Tab. 1)



1



2







3

ტაბ. 2 (Tab. 2)



5

4



6

გვ. 3 (Tab. 3)



7




8



9



10



11




ტაბ. 4 (Tab. 4)



12



13



14

15

ილუსტრაციების სია:

1. ბრდაძორის ქვაჯვარა. დამკვეთის ფიგურა.
2. ბრდაძორის ქვაჯვარა. „ოჯახის პორტრეტი“.
3. ბრდაძორის ქვაჯვარა. სქემა.
4. ნაზლაურას ქვაჯვარა.
5. ნაზლაურას ქვაჯვარა. კაპიტელი.
6. ნაზლაურას ქვაჯვარა. სქემა.
7. კატაულას ქვაჯვარა. სქემა.
8. კატაულას ქვაჯვარა. გრიგოლის პორტრეტი.
9. კატაულას ქვაჯვარა. დიდებულის პორტრეტი.
10. კატაულას ქვაჯვარა. მარიამის პორტრეტი.
11. კატაულას ქვაჯვარა. ესაკის პორტრეტი.
12. დავათის ქვაჯვარა.
13. დავათის ქვაჯვარა. დამკვეთნი.
14. უსანეთის ქვაჯვარა. სქემა.
15. უსანეთის ქვაჯვარა. შემწირველის ვედრება წმ. კვირიკეს წინაშე.

List of illustrations:

1. Stone cross. Brdadzori. Commissioner's figure.
2. Stone cross. Brdadzori. Depiction of "Family".
3. Stone cross. Brdadzori.
4. Stone cross. Nazgaura.
5. Stone cross. Nazgaura. Capital.
6. Stone cross. Nazgaura.
7. Stone cross. Kataula.
8. Stone cross. Kataula. Portrait of Grigol.
9. Stone cross. Kataula. Portrait of nobleman.
10. Stone cross. Kataula. Portrait of Mariam.
11. Stone cross. Kataula. Portrait of Esak.
12. Stone cross. Davati.
13. Stone cross. Davati. Portraits of commissioners.
14. Stone cross. Usaneti.
15. Stone cross. Usaneti. Praying commissioner before St. Cyricus.

ფოტოები: 1, 2, 8-13, 15 (გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სერვო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია); 4, 5 (ავტორის არქივი); სქემები — მანანა ბელაშვილი.

Photos 1, 2, 8-13, 15 (The Sergo Kobuladze Monuments Photo Recording Laboratory of the G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation); 4, 5 (The archive of the author); Schemes – Manana Beliashvili.